

მე-8 განყოფილება ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

განსახილველი საკითხები

- განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურა
- ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ
- ინფორმაცია გადაწყვეტილებების შესახებ
- ინფორმაცია განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ
- სრულ ფასს-თან შედარება

განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურა

უნდა გამჟღავნდეს:

(ა) ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლისა და საწარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ;

(ბ) სტანდარტის მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც სხვაგან არსად არ არის ასახული; და

(გ) დამატებითი ინფორმაცია, რომელიც სხვაგან არსად არ არის ასახული, მაგრამ აუცილებელია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის გასაგებად.

განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურა

განმარტებითი შენიშვნების თანმიმდევრობა:

(ა) განცხადება, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

(ბ) საწარმოს მიერ გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა;

(გ) დამატებითი/დამხმარე ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების განმარტებისათვის, ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც წარმოდგენილია თითოეული ანგარიშგება და მისი თითოეული მუხლი;

(დ) სხვა განმარტებები.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

უნდა გამჟღავნდეს:

(ა) ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული შეფასების საფუძველი (ან საფუძვლები); და

(ბ) ყველა სხვა გამოყენებული სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

ინფორმაცია გადაწყვეტილებების შესახებ

ინფორმაცია ისეთი მსჯელობების შესახებ, რომელთა დახმარებითაც განსაზღვრულ იქნა სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მნიშვნელოვანი მსჯელობების მაგალითები:

- ეკონომიკური სარგებლის გასვლა მოსალოდნელია თუ არა (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), არსებობს მიმდინარე ვალდებულება = ვალდებულება აღიარდება?
- გადაეცემა თუ არა მოიჯარეს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებლი = ფინანსური თუ საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარა?
- როდის გადაიცემა გაყიდულ საქონლზე რისკები და ეკონომიკური სარგებელი = როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი (ამონაგები)?
- არის თუ არა შეთანხმება = საქონლის გაყიდვა თუ საფინანსო საქმიანობის ელემენტი?
- არსებობს თუ არა კონტროლი = საჭიროა თუ არა კონსოლიდაცია?

ინფორმაცია განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ

განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ, რომელთა გამოც არსებობს მომდევნო წელს აქტივებისა და ვალდებულებების არსებითი კორექტირების რისკი.

ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით განმარტებით შენიშვნები უნდა აისახოს ინფორმაცია მათი:

(ა) შინაარსის შესახებ; და

(ბ) საბალანსო ღირებულების შესახებ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

შედარება სრულ ფასს-თან

- *მსს ფასს* სტანდარტის გამჟღავნების მოთხოვნები არის არსებითად შემცირებული სრულ ფასს სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნებთან შედარებით. ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა არ შედის მსს ფასს სტანდარტში, რადგან:
  (ა) უკავშირდება ისეთ თემებს, რომლებიც ამოღებულია მსს ფასს სტანდარტიდან.
  (ბ) უკავშირდება სრული ფასს სტანდარტების აღიარებისა და შეფასების პრინციპებს, რომლებიც მსს ფასს სტანდარტში ჩანაცვლებულია გამარტივებების მეშვეობით.
  (გ) უკავშირდება სრულ ფასს სტანდარტებში არსებულ პოლიტიკის არჩევანის შესაძლებლობას, რომლებიც არ შედის მსს ფასს სტანდარტში;
  (დ) მომხმარებელთა საჭიროებების ან ხარჯებისა და სარგებლიანობის განხილვის საფუძველზე.